ნინო ორჯონიკიძე, დიმა სიჭინავა

ლექციის როლი პრესის, ტელევიზიისა და ინტერნეტის კონკურენციის პირობებში

ანოტაცია: *კვლევებმა აჩვენა, რომ ლექცია, როგორც სწავლების მეთოდი, ზოგჯერ აფერხებს სტუდენტის დამოუკიდებელ სწავლასა და აზროვნებას. მიუხედავად ამისა, ჩვენს სტატიაში შევეცადეთ გვეჩვენებინა რიგი უპირატესობები, რაც გააჩნია ლექციურ მეთოდს. კიდევ ერთხელ გავუსვით ხაზი როგორ ვაკავშრებთ ლექციას სტუდენტის ინტერესების სფეროსთან, გარემომცველ სამყაროში მიმდინარე ცვლილებებთან, ლექტორის წვლილს სტუდენტის მოტივაციის გაძლიერების საქმეში. გთავაზობთ ჩვენს ხედვას ლექციის სწორად დაგეგმვაში და შემდგომ მის ორგანიზაციაში. ასევე, მსმენელის ყურადღების კონცენტრირების მრავალფეროვან სტრატეგიებს.*

ამოსავალი სიტყვები: *ხარისხი, კვლევა, მეთოდთა შედარება, ეფექტურობა, ანალიზი, სწავლა, აზროვნება.*

Nino Orjonikidze, Dima Sichinava

The role of lecture during the competition of the press, television and internet

Annotation: *Studies have shown that lecture as a teaching method sometimes hinders student's independent learning and thinking. In our article, we tried to show a number of advantages, which has a lecturing method. We once again emphasize how we will give a lecture to the student's interests, with the ongoing changes in the surrounding world, lecturer's contribution to enhancing student motivation. We present our vision in the correct planning of the lecture and then in its organization. Also, the diverse strategies for concentrating the listener's attention.*

Key words: *quality, research, comparison of methods, effectiveness, analysis, learning, thinking.*

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ ლექციის როლზე უმაღლეს სასწავლებლებში. ლექცია არის ინფორმაციის გადაცემის ეფექტური გზა, განსაკუთრებით ისეთ ჯგუფებში, სადაც შეინიშნება მკვეთრი განსხვავება სტუდენტთა ცოდნის დონეებს, გონებრივ შესაძლებლობებსა და ინტერესთა სფეროებს შორის. ჩვენ ასევე გიჩვენებთ, რამდენად სერიოზულ ძალისხმევას მოითხოვს ლექციის სათანადოდ დაგეგმვა და პრეზენტაცია, რათა უზრუნველვყოთ სწავლის მიმართ სტუდენტის პოზიტიური დამოკიდებულების ფორმირება და შეძენილი ცოდნის მაქსიმალური რეალიზაცია.

მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა ლექციური მეთოდის შედარებას სწავლების სხვა მეთოდებთან. დადგინდა, რომ ლექციური მეთოდი, შეიძლება ითქვას, უძველესია სწავლების არსებულ მეთოდთა შორის და დღესაც ყველაზე ფართოდ გამოიყენება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებში. ხანგრძლივი დროის მანძილზე დაგროვილ იქნა სერიოზული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება ლექციის ჩატარებიების ტექნოლოგიების შესახებ. პროფესიონალი ლექტორის საქმიანობა, როგორც წესი, წარმოადგენს მკვლევარის, მწერლის, პროდიუსერის, მსახიობისა და მასწავლებლის როლების სინთეზს, რომელიც შეესატყვისება სწავლების მიზნებს. თუმცა რეალობა გვიჩვენებს, რომ პროფესორთა მხოლოდ მცირე რაოდენობა აკმაყოფილებს აღნიშნულ მოთხოვნებს. საუკეთესო ლექტორებიც ყოველთვის როდი აჩვენებენ ოპტიმალურ შედეგს. ლექცია არ თმობს პოზიციებს ბეჭდვითი სიტყვის, ტელევიზიისა და კომპიუტერის მხრივ მძლავრი კონკურენციის პირობებშიც კი.

იბადება კითხვები: არის ლექცია სწავლების ეფექტური მეთოდი? თუ არის, რა განაპირობებს მის მაქსიმალურ ნაყოფიერებას? შეკითხვებზე პასუხის გაცემის საშუალებას იძლევა არა მარტო ლექციის, როგორც სწავლების მეთოდის დეტალური კვლევა, არამედ იმ კოგნიტური პროცესების ანალიზი, რომელთაც სტუდენტები მიმართავენ ლექციის მსვლელობისას.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ლექციას გააჩნია მთელი რიგი უპირატესობები სხვა მეთოდებთან შედარებით.

• უახლესი ინფორმაცია, რომელიც სახელმძღვანელოში შეიძლება ჯერ არ არის შეტანილი.

• მრავალფეროვან წყაროებში გაბნეული მასალის შეკრება-შეჯამება.

• მასალის შეხამება ცლკეული ჯგუფის სტუდენტების ცოდნის დონესა და ინტერესებთან კონკრეტულ დროს, კონკრეტულ ადგილზე.

• ეფექტური კითხვის უნარის განვითარება ორიენტაციის მიცემისა და კონცეპტუალური ჩარჩოს შეთავაზების გზით.

• კონცენტრაცია უმთავრეს კონცეპციებზე, პრინციპებსა და მოსაზრებებზე.

დიდია ლექტორის წვლილი სტუდენტის მოტივაციის გაძლიერების საქმეში. ეხმარება რა მას ცალკული პრობლემის, კონტრასტული მოსაზრებების სათანადოდ გააზრებაში, ლექტორი მძლავრ სტიმულს აძლევს სტუდენტის შემდგომ დაინტერესებას. ლექტორის თვალსაზრისი და ენთუზიაზმი ასევე მნიშვნელოვან ზეგავლენს ახდენს სტუდენის მოტივაციაზე. შეეცადეთ

თითოეულ ლექციაზე წარმოადგინოთ ისეთი თემა, რომელიც თქვენს განსაკუთრებულ ყურადღებასა და ინტერესს იმსახურებს. აღნიშნული თემის გაშუქებისას თქვენი ხმა და ჟესტიკულაცია გაცილებით ენერგიული და ექსპრესიულია. ახლა ეცადეთ ეს მახასიათებლები სხვა თემებზეც განავრცოთ. ენთუზიაზმით სავსე მასწავლებლები განუწყვეტლივ მოძრაობენ, არცერთ სტუდენტს არ უშვებენ თვალთახედვის არიდან და მიმართავენ მრავალფეროვან ჟესტიკულაციურ და ვოკალურ ვარიაციებს. ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია დაეუფლოს ამ თვისებებს. ამრიგად, თეორია სავსებით ემხრობა

მასწავლებლის ენთუზიაზმით აღსავსე ქცევას სტუდენტის ყურადღების მიპყრობის მიზნით. (აუცილებებლი არ არის ნებისმიერ წუთს მოახდინოთ ენერგიის მაღალი ინტენსივობის დემონსტრირება. ზოგჯერ საჭიროა მშვიდი, დინჯი საუბარი, გარკვეული პაუზა შეკითხვაზე პასუხის გაცემის წინ.)

ლექტორი სტუდენტებს სთავაზობს პრობლემისადმი მიდგომის გზებს, უჩვენებს მათ როგორ უნდა მუშაობდეს ნამდვილი მკვლევარი. თქვენ შეგიძლიათ მიმართოთ მათ: ,,ეს გახლავთ პრობლემის გადაჭრის ჩემეული ვარიანტი. ახლა თავად სცადეთ!'' ასეთი მუშაობა შესაძლებელია როგორც ლექციაზე, ისე აუდიტორიის გარეთ. გარდა ამისა, ფაქტია, რომ ესა თუ ის პროფესორი ხშირად ხდება აღტაცებისა და მიბაძვის ობიექტი.

ამრიგად, ლექცია შეიძლება იყოს საკმაოდ ეფექტური, თუმცა, ზოგჯერ აფერხებს სტუდენტის დამოუკიდებელ სწავლასა და აზროვნებას.

ამის შემდგომ უნდა ვიზრუნოთ ლექციის სწორ ორგანიზაციაზე ლექციის ორგანიზებისას მასწავლებელთა უმეტესობა, უპირველეს ყოვლისა, ფიქრობს მასალის სტრუქტურის შესახებ, შემდეგ აგებს შინაარსს ლოგიკური გზით, დედუქციური (ზოგადიდან კერძოსაკენ), ან ინდუქციური (კერძოდან ზოგადისაკენ) პრინციპების დაცვით. ხშირად მთელი ყურადღება ეთმობა მასალის გაშუქებას და გვავიწყდება ვკითხოთ საკუთარ თავს: ,,რა უნდა ახსოვდეთ ჩემი ლექციიდან სტუდენტებს მომავალ კვირას, მომავალ წელს?''

არსებობს ლექციის ორგანიზაციასთან დაკავშირებული რამდენიმე ზოგადი პრინციპი: მიზეზ-შედეგობრივი; თანმიმდევრობა დროში (მაგ. მოთხრობა); პარალელური ორგანიზაცია, როგორიცაა თეორია - მტკიცებულება; პრობლემა - გადაჭრის გზა; ნაცნობი - უცნობი; თეორია - პრაქტიკა.

საგნის ლოგიკური სტრუქტურა ლექციის ორგანიზაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი ფაქტორია, თუმცა თანაბრად მნიშვნელოვანია სტუდენტის კოგნიტური სტრუქტურა. საჭიროა

მასალასა და აღნიშნულ სტრუქტურას შორის მუდმივი კავშირის უზრუნველყოფა. ჩვენი დახმარებით სტუდენტი ახდენს არსებული სტრუქტურების რეორგანიზაციას, ან ამდიდრებს მათ ახალი შტრიხებით. მაშასადამე, ლექციის ორგანიზაციისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სტუდენტთა ცოდნის დონე, მათი დამოკიდებულება კურსის მიმართ.

მივმართოთ ანალოგის მოძებნის მეთოდს, რაც გულისხმობს ახალი იდეების დაკავშირებას სტუდენტთათვის უკვე ნაცნობ კონცეფციებთან.

უნდა გვახსოვდეს, რომ სტუდენტები უნდა გაეცნონ ლექციის ორგანიზაციას. ეს დაეხმარება მათ მოარგონ სტრუქტურას შესაბამისი ფაქტები, განამტკიცონ საფუძველი შემდგომი სწავლისა და აზროვნებისათვის. სასურველია ჯგუფის წევრებს დაურიგდეთ მოცემულ ლექციაზე შესასწავლი მასალის მონახაზი ძირითადი სათაურებით და ჩანაწერებისათვის განკუთვნილი ცარიელი ადგილით. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ლექციის შესავალის დაგეგმვისას გაითვალისწინეთ: შესავალი მიზნად უნდა ისახავდეს სტუდენტის კოგნიტური სტრუქტურის გამდიდრებას.

დასკვნა: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა ლექციური მეთოდის შედარებას სწავლების სხვა მეთოდებთან. დისკუსიამ საკმაოდ დაჩრდილა ლექცია მრავალი თვალსაზრისით. აშკარაა ბეჭდვითი სიტყვის უპირატესობაც.

ჩვენი მოსაზრებით, ლექციის ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი მოიცავს როგორც ინფორმაციის გადაცემისა და პრობლემის გადაჭრის მოდულირების პროცესებს, ისე დისკუსიას, რომელიც მიზნად ისახავს პრობლემის გადაჭრის უნარ-ჩვევების განვითარებას. აუცილებელია სწორად განისაზღვროს თითოეული მათგანისათვის გამოყოფილი დრო. ლექციისა და დისკუსიის ზემოთ აღნიშნული ფორმით შერწყმა უდაოდ ლოგიკურია ყოველთვის, როცა, კურსის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ლექტორს მოეთხოვება არა მარტო ინფორმაციის გადაცემა, არამედ სტუდენტთა დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარება.

ლიტერატურა:

ნ. ორჯონიკიძე, მაია ახვლედიანი. 2014. *მსოფლიო საგანმანათლებლო სისტემები*, ქუთაისი.

დ. კარი. 2000. *პროფესიონალიზმი და ეთიკა პედაგოგიურ საქმიანობაში*. ნიუ იორკი.

პ. მარკი. 1994. *პროფესორის ვალდებულებები: კოლეჯში სწავლების ეთიკური საკითხები*, ნიუ იორკი.